საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1467

2016 წლის 21 ივლისი

ქ. თბილისი

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების (შემდგომში – დებულება) მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპულიკის მთავრობას, სოფლების: წაბლანისა და წაბლიანის მოსახლეობასა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შორის 2015 წლის 24 აგვისტოს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, „შუახევჰესის“ პროექტის განხორციელების მიზნით, შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან 1 წლის ვადით და მიეცეს უფლება, შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტაკიძეების მიმდებარე ტერიტორიაზე მოიპოვოს 23 474 (ოცდასამი ათას ოთხას სამოცდათოთხმეტი) m^3 საშენი მასალა (ქვიშა-ხრეში) შემდეგი X და Y კოორდინატების საზღვრებში:

N	X	Y
1	260769	4614334
2	260764	4614309
3	260744	4614301
4	260660	4614442
5	260628	4614481
6	260626	4614489
7	260621	4614499
8	260626	4614515
9	260649	4614529
10	260657	4614525
11	260670	4614514
12	260685	4614498
13	260709	4614471
14	260718	4614458
15	260732	4614435
16	260739	4614393
1	260748	4614380

7		
18	260754	4614357
19	260762	4614342
S = 1,18 ჰა		
WGS -1984.		

2. შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნით (გეოსაინფორმაციო პაკეტი) განსაზ-ღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის;

გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის, უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დებულების 7^4 მუხლის 2^2 პუნქტის მიხედვით დაანგარიშებული თანხის – 35 211 (ოცდათხუთმეტი ათას ორას თერთმეტი) ლარის გადახდა, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

3. შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

4. შპს „აჭარისწყალი ჯორჯიამ“, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან 2 კვირის ვადაში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**